

# ტილოდან მონიტორგი

რევაზ ჭიჭინაძე

*საკვანძო სიტყვები: ახალი მედია, სოციალური მედიაპლატფორმები, ონლაინ გალერეა, გალერისტები*

პუბლიკაცია ფოკუსირებულია ხელოვნებასა და სოციალური მედიის პლატფორმებს შორის ურთიერთობის დინამიკაზე. საუბარია გზებზე, თუ როგორ ავრცელებენ ხელოვანები ნამუშევრებს სოციალურ მედიაპლატფორმებზე. ვეხები იმ პროცესს, თუ რა შესაძლებლობები მისცა სოციალური მედიის აღმასვლამ როგორც მხატვრებს, ისე გალერისტებს. პუბლიკაციაში მიმოხილულია ხელოვნებისა და ახალი ტექნოლოგიების ურთიერთმოქმედების გარკვეული ისტორიული კონტექსტი, წარმოჩენილია ის, თუ როგორ ადაპტირდებიან ხელოვანები ახალ მედიუმებთან.

სოციალურ მედიაპლატფორმებს უნიკალური მახასიათებლები აქვთ, რომლებსაც მხატვრები და გალერისტები იყენებენ აუდიტორიის მოსაზიდად. არტისა და მედიუმების (სოცმედია პლატფორმების) კონვერგენცია შლის ერთგვარ ზღვარს ტრადიციულ, კლასიკურ და ციფრულ ხელოვნებას შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტილოდან მონიტორზე გადასვლის გზაზე არის ბევრი გამოწვევა, რასაც ხელოვანები აწყდებიან ციფრულ სივრცეში, მაგრამ აქვე საგულისხმოა ფაქტი, რომ სწორედ სოციალურმა მედიამ მოუტანა კლასიკურ მხატვრობას მზარდი პოპულარობა. მსოფლიო დიგიტალიზაციის ფონზე, მნიშვნელოვანია, თუ როგორ იყენებენ სოციალურ მედიაპლატფორმებს ქართველი ხელოვანები. არის თუ არა ეს მათთვის აუდიტორიასთან დამაკავშირებელი გზა და რომელი მედიაპლატფორმა ყველაზე მიმზიდველი როგორც მხატვრებისთვის, ისე გალერისტებისთვის. მხატვრებისა და გალერისტების პერსპექტივიდან ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩაიწერა ჩალრმავებული ინტერვიუ ონლაინ არტ გალერისტ კრის გესკიერთან; ზოგადი ტენდენციებისა და ხსენებული ინტერვიუს საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ხელოვნების სამყაროს ტრანსფორმაციის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე სწორედ სოციალური მედიაპლატფორმებია, რაც არტისტებსა და გალერისტებს აძლევს საშუალებას, ნამუშევრები გლობალურ აუდიტორიას დაუბრკოლებლად გააცნონ.

თანამედროვე სამყაროში ხელოვნებასა და სოციალურ მედიას შორის ურთიერთობა დინამიკური და სიმბიოზურია. თითოეული გავლენას ახდენს და აყალიბებს მეორეს. სოციალური მედიის პლატფორმების გამოჩენამ ერთგვარი რევოლუცია მოახდინა ხელოვნების შექმნის, გაზიარებისა და მოხმარების გზაზე ციფრულ ეპოქაში. ამ ურთიერთობის აღსაქმელად, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ხელოვნების ტექნოლოგიებთან და კომუნიკაციებთან ურთიერთქმედების ისტორია. მხატვრები ყველა ეპოქაში იყენებდნენ ახალ ტექნოლოგიებსა და მედიუმებს, როგორც შემოქმედებითი გამოხატვის საშუალებას. სტამბის გამოგონებიდან (რომელმაც ხელოვნებას ფართო გავრცელების საშუალება მისცა) ფოტოგრაფიის, კინოსა და ტელევიზიის განვითარებამდე, ყველა ტექნოლოგიურმა წინსვლამ, ახალი

შესაძლებლობები და გამოწვევები მოუტანა ხელოვნების სამყაროს. სოციალური მედიის პლატფორმების ბრდა კი წარმოადგენს ამ მიმდინარე ტრენდის უახლეს ეტაპს. სოციალური მედიის ისეთი პლატფორმების გაჩენამ, როგორებიცაა Facebook, Instagram, Twitter და YouTube, შეცვალა ხელოვნების აღმოჩენის, გაზიარების და მისით აღფრთოვანების პროცესი. ამ პლატფორმებმა ასევე მისცეს ყველა ხელოვანს ეგრეთ წოდებული გლობალური სცენა, გალერეა, რათა წარმოაჩინონ თავიანთი ნამუშევრები და, სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ აუდიტორიასთან დისკუსიაში. მხატვრებს, ახლა აქვთ შესაძლებლობა მოაწყონ საკუთარი ონლაინ გალერეები, გააზიარონ არა მხოლოდ ნამუშევარი, არამედ თავად შემოქმედებითი პროცესი, ასევე პირდაპირ დაუკავშირდნენ პოტენციურ მყიდველებს, კოლექციონერებს, თუ გალერის-

ტებს. სოციალურმა მედიამ გაარღვია ხელოვნების სამყაროს ჩარჩოები, რაც საშუალებას აძლევს მხატვრებს გვერდი აუარონ გალერეის სისტემის შეზღუდვებს და მიაღწიონ უფრო ფართო და მრავალფეროვან აუდიტორიას. გარდა ამისა, სოციალური მედიის პლატფორმებმა ხელი შეუწყო ხელოვნების შორის კომუნიკაციას. შექმნა ვირტუალური სივრცეები, სადაც მათ მსოფლიოს თითქმის ნებისმიერი წერტილიდან, შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირება და თანამშრომლობა. დღევანდელ მხატვრებს, გლობალური ქსელის წყალობით, შეუძლიათ იდეების დისტანციურად გაცვლა, გამოხმაურების მიღება და ინსპირაციაც კი. დღეს საუბარია იმის შესახებ, რომ სოციალური მედია გავლენას ახდენს არტისტების შემოქმედებით გამოხატულებაზე, მაგრამ გავლენა არ არის ცალმხრივი. ეს ერთგვარი კოლაბორაციაა. მხატვრები არა მხოლოდ ადაპტირებენ ციფრულ ლანდშაფტთან, არამედ იყენებენ მის უნიკალურ შესაძლებლობებს. მედიაექსპერტების თქმით: „სოციალური მედია იწვევს ხელოვნებას და, ამავე დროს, მხატვრებს მხატვრული გამოხატვის ახალ გზებს აძლევს“.<sup>1</sup> ვიზუალურმა არტისტებმა მიაგნეს ინოვაციურ გზებს, რათა გამოიყენონ სოციალური მედიის პლატფორმების ვიზუალური უპირატესობა აუდიტორიის მოხიზვლის მიზნით. პლატფორმების მოკლე ფორმატმა კი, როგორცაა Instagram, გამოიწვია „მიკრო ხელოვნების“, იმავე „ინსტაგრამის ხელოვნების“ ჩამოყალიბება და შემდგომ პოპულარობა, სადაც მხატვრები ქმნიან მინიატიურულ ნამუშევრებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია მობილურ ეკრანებზე სანახავად. სოციალური მედია ასევე დაუპირისპირდა ეგრეთ წოდებულ მხატვრული მუდმივობის ცნებას. ისეთი პლატფორმების ალგორითმმა, როგორცაა მაგალითად Snapchat და Instagram Stories, შთააგონა მხატვრები შექმნან დროებითი ან დროზე დაფუძნებული მხატვრული ხელოვნების ფორმები. გარდა ამისა, სოციალურმა მედიამ ხელი შეუწყო დააჩქარა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ფორმისა და მედიის დაახლოების პროცესი. მხატვრები ახლა აერთიანებენ ტრადიციულ ტექნიკას ციფრულ ინსტრუმენტებთან. დღეს ხშირად ვხვდებით მულტიმედიურ არტს, სადაც

არტისტის ორიგინალურ ნამუშევარში შერწყმულია ვიდეო, ანიმაცია და ინტერაქტიული ელემენტები. ხელოვნების ფორმების ამ შერწყმამ გამოიწვია ახალი საინტერესო ჟანრებისა და მხატვრული გამოხატვის გზების გაჩენა. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებასა და სოციალურ მედიას შორის თანაცხოვრება ურთიერთსარგებელზეა დაფუძნებული. მრავალი ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, მაგალითად, როგორცაა ფრანგი მწერალი და თეორეტიკოსი ნიკოლა ბურიო, ცდილობს, ხელოვნებაში გლობალური ქსელის როლი და მნიშვნელობა ახსნას, გააანალიზოს და ტერმინოლოგია განსაზღვროს. სწორედ მან გამოიყენა დღეს განხილვის ერთგვარ ობიექტად ქცეული ტერმინი - ალტერმოდერნიზმი. ის ერთ-ერთ ინტერვიუში ალტერმოდერნიზმს ასე განმარტავს: „ამ ახალი თანამედროვეობის (ალტერმოდერნიზმის) ბირთვი, ჩემი აზრით, არის დროში, სივრცესა და მედიუმებში ხეტიალით მიღებული გამოცდილება“.<sup>2</sup> მკვლევრები ბელო ბენიშაუერი და ელისაბეტ ეიტელბერგერი კი ჩაუღრმავდნენ მეცნიერის მოსაზრებას და განაცხადეს. „ალტერმოდერნიზმი მოიცავს მთელი მსოფლიო ხელოვნების ნაკადებს (აფრიკული, სამხრეთამერიკული, აზიური ხელოვნების და სხვათა ჩათვლით). ბურიო ამ გლობალურ კულტურას მოიხსენიებს, როგორც სათამაშო მოედანს მხატვრებისთვის, მათი ექსპერიმენტებისთვის და ახალი გამოხატვის ფორმების ასაგებად - რაც განაპირობა მსოფლიო ქსელის გავლენამ. ის მიიჩნევს, რომ თანამედროვე ადამიანის გონებას, რაც გლობალურ კულტურას აერთიანებს, დღეს ახასიათებს გაზიარება. თანამედროვე მხატვრებიც სწორედ ამ გაზიარებულ ნაკადს იყენებენ და ქმნიან საკუთარს ამ გლობალურ კულტურაზე დაყრდნობით“.<sup>3</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მხატვრები ადაპტირდებიან ციფრულ სივრცესთან და იყენებენ სოციალური მედიის უნიკალურ მახასიათებლებს მხატვრული გამოხატვის ახალი ფორმების შესასწავლად. სოციალური მედია განაგრძობს განვითარებას და ის უდავოდ გახდება სახვითი ხელოვნების (და არა მხოლოდ) ახალი მიმართულებების განმსაზღვრელი. ამავდროულად, ის კიდევ მეტად გააფართოებს ხელოვნებასთან

1 Hilton, Hjorth, Understanding, 2013, p. 77.  
 2 Ryan, Altermodern, 2009.  
 3 Benischauer, Eitelberger, New, 2010, p. 117.

წვდომის შესაძლებლობას და გარდაქმნის ადამიანთა შემოქმედებითობის აღქმას. სოციალური მედია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ახალი შესაძლებლობა ხელოვანებისთვის, რადგან ხელოვნების ტრადიციულ სამყაროში, მხატვრები ხშირად ეყრდნობიან გალერეებს, გამოფენებს და სხვა ფიზიკურ სივრცეებს თავიანთი ნამუშევრების საჩვენებლად. თუმცა, სოციალური მედიის პლატფორმები უზრუნველყოფს გლობალურ სივრცეს, სადაც მხატვრებს შეუძლიათ თავიანთი შემოქმედების დემონსტრირება. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, სოციალურმა მედიამ ხელი შეუწყო ხელოვნების სამყაროს დემოკრატიზაციას, გაარღვია ბარიერები და ხმა მისცა ხელოვანებს, რომლებიც შესაძლოა ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ეგრეთ წოდებული ტრადიციული ხელოვნების წრეებში; მაგრამ მეორე მხრივ, ამ სივრცეში არის სხვადასხვა გამოწვევა. შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მათგანი: ავთენტიკურობის შენარჩუნება; საავტორო და ინტელექტუალური საკუთრება; პირადი და პროფესიული საზღვრების დაბალანსება; მხატვრული ღირებულების ცნებების შეცვლა; ყალბი ხელოვნების არსებობა სოციალური მედიის პლატფორმებზე; ალგორითმული გამოწვევების ნავიგაცია და სხვა.

ეს პუბლიკაცია არ განიხილავს კონკრეტულ გამოწვევებს, რაც მრავლადაა. ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ, არის თუ არა სოციალური მედია ხელოვნების ახალი ადგილი, ახალი სივრცე და პასუხი არის „დიახ“. კლასიკური ხელოვნების მზარდი პოპულარობა სოციალური მედიის პლატფორმების საშუალებით ბოლო წლებში შესამჩნევია მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურ ხელოვნების ფორმებს აქვს მდიდარი ისტორია და ტრადიციულად ასოცირდება მუზეუმებთან და გალერეებთან, სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგრეთ წოდებული კლასიკური ესთეტიკის პოპულარიზაციაში. სოციალური მედიის პლატფორმები უზრუნველყოფს დემოკრატიულ სივრცეს, სადაც კლასიკურ ხელოვნებას შეუძლია გასცდეს ტრადიციული ინსტიტუტების საზღვრებს. მომხმარებლებს შეუძლიათ, ადვილად მისწვდნენ კლასიკურ ნამუშევრებს სურათების, ვიდეოების და სხვა ციფრული მედიის ფორმატების საშუალებით, რომლებიც გაზიარებულია მუზეუმების, გალერეების, ცალკეული მხატვრების თუ უბრალოდ

ხელოვნების მოყვარული მოქალაქეების მიერ. ამ ხელმისაწვდომობამ საშუალება მისცა კლასიკურ ხელოვნებას, გადალახოს გეოგრაფიული საზღვრები და კულტურული ბარიერები, მიაღწიოს გლობალურ აუდიტორიას, რომელსაც შესაძლოა ადრე არ ჰქონოდა მსგავს ნამუშევრებთან შეხება.

სოციალურ მედიაში კლასიკური ხელოვნების მზარდი პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ვიზუალურად მიმზიდველი და, რაც ამ ველზე მნიშვნელოვანია, გასაზიარებელი შინაარსის შექმნის შესაძლებლობაა. ისეთი პლატფორმები, როგორცაა Instagram და Pinterest, იქცა ვირტუალურ გალერეებად, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ თავიანთი არხების კურირება, პერსონალური ვირტუალური მუზეუმების შექმნა კლასიკური ნამუშევრებით. აქ შესაძლებელია ეს ციფრული პერსონალიზებული კოლექციები გაუზიარონ თავიანთ მიმდევრებს. სოციალური მედიის პლატფორმებმა ასევე ხელი შეუწყო თანამშრომლობას მუზეუმებს, გალერეებსა და მხატვრებს შორის, რამაც გამოიწვია ინოვაციური ციფრული გამოფენებისა და ვირტუალური ტურების შექმნა. ეს ინიციატივები უზრუნველყოფს იმერსიულ გამოცდილებას, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეისწავლოს კლასიკური ხელოვნების კოლექციები საკუთარი სახლიდან გაუსვლელად, რაც ხელოვნებას უფრო ხელმისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისთვის. მეტიც, სოციალურმა მედიამ ხელი შეუწყო კლასიკურ ხელოვნებაზე ორიენტირებული ჯგუფების გაერთიანებასა და გაძლიერებას. კლასიკური ესთეტიკით გატაცებულ მომხმარებლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ თანამოაზრეებს, გაცვალონ ინფორმაცია და განიხილონ კლასიკური ხელოვნების ნიმუშები. სოციალური მედიის მიერ შექმნილი ეს ტალღა კი, ხელს უწყობს კლასიკური ხელოვნებით საზოგადოების უფრო ფართო აუდიტორიის დაინტერესებას. გარდა ამისა, სოციალურმა მედიამ წაახალისა დილოგები კლასიკური ხელოვნების შესახებ (როგორც პროფესიულ, ისე სამოყვარულო დონეზე) და შედეგად ვაკვირდებით ამა თუ იმ ხელოვნების ნიმუშის ხელახალი გააზრების პროცესს. თანამედროვე შემოქმედებებიც, რომლებიც შთაგონებულნი არიან კლასიკური შედეგებით, მათ ახლებურ ციფრულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ. კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ელემენტების ეს შერწყმა კი ქმნის ახალ პერსპექტივებს და

აგებს ერთგვარ ხიდს ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ფორმებს შორის. ზოგიერთ თეორეტიკოსს არ მოსწონს, რომ ყველაფერი, კლასიკური ხელოვნების ჩათვლით, მიდის ახალ მედიაში, მაგრამ ეს შეუქცევადი პროცესია. „ფაქტია, რომ ახალი მედია სწრაფი და ყოვლისმომცველია, ის მყისიერად ვრცელდება და აღწევს ყველგან, მათ შორის აკადემიის ყველაზე კონსერვატორულ და დახურულ სივრცეშიც. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ მიგრაციის მსგავსად, ხელოვნებაც ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაციის ისტორია“.<sup>4</sup> შესაბამისად, მიგრირების პროცესი ტილოდან მონიტორზე შეუქცევადია.

სოციალური მედია თითქმის მთელ მსოფლიოში ანგრევს საზღვრებს და საქართველო ამ კუთხით არ არის გამონაკლისი. საქართველოში ეგრეთ წოდებული კიბერ გარღვევას წინ უსწრებდა საბჭოთა პერიოდი, ქვეყანა იზოლირებული იყო ეგრეთ წოდებული რკინის ფარდით, შესაბამისად, ქვეყნის კულტურისთვის ორმაგი ბარიერი დაიშალა. საქართველოს, თავისი მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობით, აქვს კლასიკური ხელოვნების მრავალწლიანი ტრადიცია, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა მიმდინარეობაზე. თუმცა, პოსტსაბჭოთა ეპოქამ, რომელიც დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მნიშვნელოვანი გამოწვევები მოუტანა ქვეყანაში კლასიკურ ხელოვნებას. საბჭოთა პერიოდში (1922-1991) საქართველოში ხელოვნება, მათ შორის კლასიკური ხელოვნების ფორმები, ექვემდებარებოდა მკაცრ იდეოლოგიურ კონტროლს და ცენზურას. საბჭოთა რეჟიმი მხარს უჭერდა სოციალისტურ რეალიზმს, სტილს, რომელიც ემთხვეოდა იმდროინდელ პოლიტიკურ დღის წესრიგს. მხატვრები, რომლებმაც გადაუხვიეს ამ დადგენილ სტილს, ხშირად დგებოდნენ რეპრესიებისა და მარგინალიზების წინაშე. იყო მცდელობა (ზოგჯერ წარმატებული, ზოგ შემთხვევაში კი, უშედეგო), რომ კლასიკური ხელოვნების ფორმები და ტრადიციული მხატვრული პრაქტიკა მმართველ პარტიას დაეჩრდილა დომინანტური სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკით. საბჭოთა კავშირის დაშლა და შემდგომში გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე წარმოადგენდა როგორც

შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს კლასიკური ხელოვნებისთვის საქართველოში. ერთი მხრივ, ახლად აღქმულმა თავისუფლებამ მხატვრებს საშუალება მისცა შეესწავლათ მხატვრული სტილისა და გამოხატვის უფრო ფართო სპექტრი. მხატვრები ცდილობდნენ ხელახლა დაჰკავშირებოდნენ თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას და, ამავდროულად, ნამუშევრებში მაქსიმალურად გამოეხატათ ინდივიდუალობაში. თუმცა, გარდამავალმა პერიოდმა ქვეყანაში, თავისუფლების განცდის გარდა, მოიტანა ეკონომიკური პრობლემები, შეზღუდული რესურსები, რამაც გავლენა მოახდინა მთლიანად ხელოვნების სექტორზე. ახალი მხატვრული ექსპერიმენტების დაფინანსება, ასევე კლასიკური ხელოვნების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის საჭირო თანხა, მინიმალური გახდა. ფინანსური მხარდაჭერის ეს ნაკლებობა, ბუნებრივია, პრობლემებს უქმნიდა ხელოვნებას, ინსტიტუციებს და ხელოვნების ფართო საზოგადოებას, რაც აფერხებდა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ხელოვნების ზრდას და პოპულარიზაციას.

XXI საუკუნეში, სოციალური მედიის ზრდამ, შექმნა ტრანსფორმაციული პლატფორმა ხელოვნებისთვის საქართველოში. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები გლობალური აუდიტორიისთვის, გააღწიონ ადგილობრივ სივრცეს. სოციალური მედიის დახმარებით, საქართველოშიც ამოქმედდა პროცესი, როდესაც მხატვრები ონლაინ უკავშირდებიან და თანამშრომლობენ, როგორც კოლეგებთან ერთობლივი პროექტებით, ისე მყიდველებთან, გლობალური მასშტაბით. საქართველოში მხატვრებს, რომლებიც შესაძლოა წარსულში იბრძოდნენ აღიარებისთვის ან ოცნებობდნენ თავიანთი ნამუშევრების ჩვენებაზე საზღვარგარეთ, ახლა აქვთ საშუალება შექმნან საკუთარი ონლაინ პლატფორმა და უშუალოდ დაუკავშირდნენ აუდიტორიას, რომელიც დაინტერესებულია მათი ნამუშევრებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში ხელოვნების მიმართ მხარედი ინტერესი შეინიშნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ აღორძინებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მუზეუმების, გალერეებისა და კულტურული ორგანიზაციების ძალისხმევამ, როგორც კლასიკუ-

4 González, Mahmuto, Media, 2020, p. 16.

რი ხელოვნების შესანარჩუნებლად, ისე მისი პოპულარიზაციისთვის. გამოფენებმა, საგანმანათლებლო პროგრამებმა და ერთობლივმა ინიციატივებმა ხელი შეუწყო მხატვრული მემკვიდრეობისა და კლასიკური ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას საქართველოს კულტურულ იდენტობაში. ამ გზაზე კი თანამედროვე მედია პლატფორმები ხელოვნებისთვის ფასდაუდებელ ინსტრუმენტებად იქცა, რათა დაუკავშირდნენ აუდიტორიას, წარმოაჩინონ, გაავრცელონ, ან გაყიდონ საკუთარი ნამუშევრები და, ამავდროულად, ჩართონ საზოგადოება შემოქმედებით დიალოგში. დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ხელოვნებს აქვთ უამრავი პლატფორმა საკუთარი ნამუშევრების პოპულარიზაციისთვის აუდიტორიასთან დასაკავშირებლად და თავიანთი საკუთარი მხატვრული ბრენდის შესაქმნელად. საქართველოში ისე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მხატვრებისთვის ყველაზე პოპულარულ ციფრულ მედიაპლატფორმებს შორის არის Instagram, Facebook, Pinterest, YouTube და სხვა სოციალური მედიის არხები. ყველა ეს არხი საშუალებას აძლევს არტისტებს, რომ ეფექტურად წარმოაჩინონ საკუთარი ნამუშევრები ამ პლატფორმებზე და მაქსიმალურად გაზარდონ მათი პოპულარობა. როგორ მუშაობს ეს პლატფორმები ხელოვნათათვის?

ინსტაგრამი (Instagram) გახდა ვიზუალური არტისტების გამოსაყენებელი პლატფორმა იმის გამო, რომ აქცენტი კეთდება გამოსახულებაზე და ვიზუალურ სიუჟეტებზე. ინსტაგრამზე საკუთარი ნამუშევრების ეფექტური პოპულარიზაციისთვის, მხატვრებს შეუძლიათ დაგეგმონ შემდეგი სტრატეგია: მაღალი ხარისხის ვიზუალი (მათი ნამუშევრის მაღალი გარჩევადობის სურათების გამოქვეყნება. მაღალი ხარისხის ფოტომასალა ან ციფრული რეპროდუქცია, რაც დაეხმარებათ აჩვენოს ნამუშევრის დეტალები და ნიუანსები); თანმიმდევრული ბრენდინგი (შეკრული ვიზუალური ესთეტიკის, სტილის ან თემის შემუშავება მათ Instagram-ის „ფეისში“ ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობის ჩამოყალიბებას. ფერის სქემების, ფილტრების ან ვიზუალური ელემენტების თანმიმდევრულობა); საინტერესო წარწერები; „ჰეშთეგის“ ეფექტური გამოყენება; საზოგადოებასთან ინტერაქცია.

ფეისბუქი (Facebook) - ფართო წვდომა და საზოგადოების შექმნა. Facebook სთავაზობს ხელოვნებს

მრავალფეროვან აუდიტორიასთან დაკავშირების შესაძლებლობას, ასევე სივრცეს ხელოვნების გვერდების ან ჯგუფებისთვის; Facebook Live ვირტუალური ხელოვნების დემონსტრირებისთვის რეალურ დროში; სტუდიური ტურების ან კითხვა-პასუხის სესიების მასპინძლობას (ასევე რეალურ დროში) და სხვა.

იუტუბი (YouTube) - ამ პლატფორმაზე არტისტებს შეუძლიათ შექმნან და განათავსონ ვიდეოკონტენტი. თუნდაც, მაგალითისთვის, ვიდეო გაკვეთილები, გარკვეული დროის განმავლობაში (Time-lapse) მოახდინონ ნამუშევრების დემონსტრირება, შექმნან ვლოგები და აჩვენონ სახელოსნოში მიმდინარე პროცესი და სხვ.

პინტერესტი (Pinterest) - ეს პლატფორმა განსაკუთრებით სასარგებლოა ვიზუალურად ორიენტირებული არტისტებისთვის და შეუძლია დაინტერესებული ონლაინ მნახველის გაყვანა მათ ვებსაიტებზე ან ონლაინ პორტფოლიოებზე.

სწორედ ამ მედიაპლატფორმების საშუალებით მხატვრებს, მთელ მსოფლიოში, შესაძლებლობა აქვთ მიაღწიონ გლობალურ აუდიტორიას, გააზიარონ საკუთარი ნამუშევრები და საკუთარი ინტერესის გარდა, ასევე წვლილი შეიტანონ თავიანთი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ასეა ქართველი არტისტების უმრავლესობაც, რომლებსაც ასევე აქვთ ანგარიშები თითქმის ყველა მედიაპლატფორმაზე, მაგრამ ლიდერობს ინსტაგრამი და ფეისბუქი.

რეალურად როგორ იყენებენ და როგორ მუშაობს სოციალური მედია მხატვრებისა და გალერისტებისათვის, ამ საკითხის გასარკვევად, პუბლიკაციის ფარგლებში ჩავწერეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ ბელგიელ ონლაინ არტ გალერისტთან - კრის გესკიერთან (Kris Ghesquière), რომელმაც შექმნა ევროპაში ერთ-ერთი პირველი ონლაინ გალერეა - „ევროპის კომპოზიციური გალერეა“. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ონლაინ გალერეების რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა, კერძოდ:

- წვდომა - ჩვენი ონლაინ გალერეა ყოველდღიურად იზიდავს დაახლოებით 3000-დან 5000-მდე ვიზიტორს მთელ მსოფლიოში. ხელმისაწვდომობის ეს დონე წარმოუდგენელია ევრეთ წოდებული ტრადიციული გალერეებისთვის.
- გაყიდვის მოდელი - ჩვენი ბიზნესი ძირითადად მუშაობს კონსიგნაციაზე, ყიდის ნამუშევრებს და

ვილებთ გაყიდვებზე საკომისიოს. ეს მიდგომა გამოირჩევა ინვენტარის საჭიროებას და ამცირებს როგორც რისკებს.

- ინვესტიციები არ არის საჭირო - ინვენტარის საჭიროების არარსებობა ნიშნავს, რომ არ არის საჭირო ინვესტიცია ნამუშევრების შესანახად ან დასაზღვევად, რაც იწვევს ხარჯების მნიშვნელოვან დაზოგვას და ფინანსურ ეფექტურობას.
- მოქნილი პერსონალი - ონლაინ ოპერირება იძლევა პერსონალის მინიმუმაციის საშუალებას, მოქნილი სამუშაო საათები კი დამატებით სარგებელს, რადგან ფიზიკური გალერეები საჭიროებენ პერსონალის მუდმივ ყოფნას ადგილზე, სამუშაო საათებში.
- 24/7 ხელმისაწვდომობა - კლიენტებს შეუძლიათ ნახონ ჩვენი გალერეა და ნამუშევრები დღის ან ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან.
- ნამუშევრების ფართო არჩევანი - 4000-ზე მეტი ნამუშევრის საშუალებით, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ჩვენი გალერეა გთავაზობთ შეუდარებელ არჩევანს, რომლის ჩვენებაც ფიზიკურ გალერეას არ შეუძლია. ეს უზარმაზარი კოლექცია ითვალისწინებს მრავალფეროვან გემოვნებასა და პრეფერენციებს.
- ანალიტიკა და მონაცემთა შეგროვება - ჩვენი ონლაინ პლატფორმა საშუალებას გვაძლევს შევკრიბოთ ღირებული ინფორმაცია ვიზიტორთა ქცევის, პრეფერენციებისა და ურთიერთქმედებების შესახებ. ეს ინფორმაცია ხელს უწყობს მომავალი

ონლაინ გამოფენების დაგეგმვას და მიზნობრივი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებას.

- საგადასახადო ეფექტური მდებარეობა - ჩვენი ონლაინ გალერეის ვირტუალური ბუნება საშუალებას გვაძლევს დავაფუძნოთ კომპანია ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში. მაგალითად, მაშინ, როცა ბელგიამ შესაძლოა მოგებაზე თითქმის 50%-იანი გადასახადი დააწესოს, საქართველოს მხოლოდ 20% სჭირდება. ეს არამარტო მომგებიანია მფლობელისთვის, არამედ იმავდროულად მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ქვეყანას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საგადასახადო შემოსავლების მეტი საჭიროება, ვიდრე უფრო მდიდარ ქვეყნებს, როგორცაა ბელგია.

ჩვენ მიერ ჩაწერილი ჩაღრმავებული ინტერვიუს ამონარიდებითა თუ ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა მოსაზრებისა თუ ინფორმაციის გაანალიზებით ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ ფიზიკური გალერეები, ისევე როგორც კონკრეტული არტისტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საკუთარი ნამუშევრები გაყიდონ, ფიზიკურიდან ვირტუალურ სივრცეში - ტილოდან მონიტორზე ინაცვლებენ, სადაც მათ ფართო და მრავალი გემოვნების მქონე მაყურებელი ელოდება. მეორე მხრივ, დღევანდელი მომხმარებელიც ნამუშევარს სწორედ მონიტორზე ეძებს, ტილო კი სამუშეუმი ექსპონატად აღიქმება. ასეა საქართველოშიც, ამის დასტური მრავალი ონლაინ გალერეის მომრავლებაა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Benischauer B., Eitelberger E.M., *New Media and the Politics of Online Communities* Edited by Mousoutzanis Aris, Riha Daniel, Oxford, 2010.
- González J. M., Mahmutó V., *Communication of Migration in Media and Arts*, London, 2020.
- Hinton S., Hjorth L., *Understanding Social Media*, Washington DC, 2013.
- Morales L. G., *New Media Art Conservation (Evolutive Conservation Theory)*, eBook, 2022.
- Ryan B., *Altermodern: A Conversation with Nicolas Bourriaud*, in *Art in America*, 2009.

# FROM CANVAS TO SCREEN

Revaz Tchitchinadze

**Keywords:** *New media, social media platforms, online gallery, gallerists*

This article explores the dynamic relationship between art and social media platforms, focusing on the ways artists promote their works on social media platforms. It highlights how social media has revolutionized the art world, providing artists with unprecedented opportunities for exposure, engagement, and collaboration. The article examines the historical context of art's interaction with technology and communication, showcasing how artists have adapted to new mediums.

The article discusses the unique features of social media platforms that artists leverage to captivate audiences, such as the visual nature of Instagram and the ability to create shareable content. It explores the convergence of different art forms and mediums enabled by social media, blurring the line between traditional and digital art. Furthermore, we try to explore the challenges artists face in the digital landscape. The article emphasizes the increasing popularity of classical art on social media, including its revitalization in Georgia after the post-Soviet era. It discusses how social media platforms have provided a global stage for Georgian artists to share their works, connect with audiences, and participate in collaborative initiatives. Moreover, the article explores how artists effectively promote their works on various social media platforms. To provide insights from the perspective of gallerists, the article includes conclusions of the interview with online art gallerist Kris Ghesquière, who shed light on their experiences operating in the social media network and online art gallery landscape, respectively. Overall, *From Canvas to Screen* highlights the transformative power of social media platforms in reshaping the art world and empowering artists to promote their works to a global audience.

The relationship between art and social media is a dynamic and symbiotic one, with each influencing and shaping the other. The advent of social media platforms has revolutionized the way art is created, shared, and consumed in the digital age. To understand this relationship, it is crucial to examine the historical perspective of art's interaction with technology and communication. Throughout history, artists have embraced new technologies and mediums as a means of creative expression. From the invention of the printing press, which enabled the widespread dissemination of art, to the development of photography, film, and television, each technological advancement has brought new possibilities and challenges to the art world. The rise of social media platforms represents the latest chapter in this ongoing narrative.

The emergence of such social media platforms as Facebook, Instagram, Twitter, and YouTube has transformed the way art is shared, discovered, and experienced. These platforms have democratized the art world, providing artists with a global stage to showcase their

work and engage with audiences in unprecedented ways. Artists now have the ability to curate their own online galleries, share their creative processes, and connect directly with art enthusiasts and collectors. Social media has dissolved the traditional gatekeepers of the art world, allowing artists to bypass the constraints of the gallery system and reach a broader and more diverse audience. Moreover, social media platforms have fostered a sense of community among artists, creating virtual spaces where they can connect, collaborate, and support one another. Artists can exchange ideas, receive feedback, and find inspiration from a global network of creative individuals.

There are many talks about the influence of social media on artistic expression, but it cannot be overstated. Artists are not only adapting to the digital landscape but also harnessing its unique features and characteristics to push the boundaries of their work. Media experts prove, that: "Social media is both challenging the arts while, at the same time, providing artists with new avenues for ar-

tistic expression”.<sup>1</sup> Visual artists, for instance, have found innovative ways to leverage the visual nature of social media platforms to captivate audiences. The concise format of platforms like Instagram has led to the rise of micro art or Instagram art, where artists create miniature, intricate artworks specifically designed to be viewed on mobile screens. Social media has also challenged the notion of artistic permanence. The ephemeral nature of platforms like Snapchat and Instagram Stories has inspired artists to explore temporary or time-based art forms, blurring the line between traditional art and performance art. Furthermore, social media has facilitated the convergence of different art forms and mediums. Artists are now blending traditional techniques with digital tools, incorporating video, animation, and interactive elements into their work. This fusion of art forms has led to the emergence of exciting new genres and modes of artistic expression. We can say, that the relationship between art and social media is symbiotic, with social media platforms providing artists with unprecedented opportunities for exposure, engagement, and collaboration. Some of well-known art critics like French writer and theorist Nicolas Bourriaud describing how use over meaning in Art has developed in recent years and how the Internet leads into a new direction of artistic expression. He even used terms that have become the subject of separate analysis and discussion, such as for example Altermodernism (after Postmodernism); which in one of the interviews, he himself explain it is: “The core of this new modernity is, according to me, the experience of wandering—in time, space and mediums”.<sup>2</sup> Researchers B. Benischauer and E.M. Eitelberger go deep into the question and said, that: “Altermodernism involves now streams around the globe (including African, South American, Asian Art and more). Bourriaud refers to this global culture as the playground for artists to experiment and to start building new forms of expression – influenced by and associated with the World Wide Web. He sees the human frame of mind, characterised by a global culture, today dominated by exchange. Artists use and create out of different streams of knowledge that are presented within this global culture”.<sup>3</sup> So, we can say that artists are adapting to the digital landscape, leveraging social media’s unique features to explore new forms of

artistic expression. As social media continues to evolve, it will undoubtedly shape the future of art, expanding its reach and transforming the way we experience and interact with creativity.

In the traditional art world, artists often rely on galleries, exhibitions, and other physical spaces to showcase their work. However, social media platforms provide a global stage where artists can display their creations to a vast and diverse audience. So, it became an opportunity for artists. On one hand social media has contributed to the democratization of the art world, breaking down barriers and giving voice to artists who may have been marginalized or underrepresented in traditional art circles; but on other there are various challenges as well. We can mark some of them: Maintaining authenticity; Copyright and intellectual property; Balancing personal and professional boundaries; Oversaturation; Shifting notions of artistic value; Presence of fake art on social media platforms; Navigating algorithmic challenges and much more we can consider.

Instead of discussing individual challenges, which are many, this article seeks to explain if social media is a new place of art; and the answer is yes. The increasing popularity of classical art through social media platforms has been a notable phenomenon in recent years. While classical art forms have a rich history and have traditionally been associated with museums and galleries, social media has played a significant role in bringing these artworks to a wider audience and revitalizing interest in classical aesthetics. Social media platforms provide a democratic space where classical art can thrive and reach beyond the confines of traditional institutions. Users can easily access and engage with classical artworks through images, videos, and educational content shared by museums, art enthusiasts, and even individual artists. This accessibility has allowed classical art to transcend geographical boundaries and cultural barriers, reaching a global audience that may not have had previous exposure to such works. One of the key drivers of the increasing popularity of classical art on social media is the ability to create visually appealing and shareable content. Platforms like Instagram and Pinterest have become virtual galleries where users can curate their feeds

1 Hilton, Hjorth, *Understanding Social Media*, 2013, p. 77.

2 Ryan, B, *Altermodern: A Conversation with Nicolas Bourriaud*, in *Art in America*, 17/03/2009.

3 Benischauer B, Eitelberger E.M. *New Media*, Oxford, 2010, p. 117.



with classical artworks, creating personalized collections and sharing them with their followers. The visual nature of social media lends itself well to the captivating beauty and timeless quality of classical art, making it highly shareable and engaging for users. Social media platforms have also facilitated the collaboration between museums, galleries, and artists, leading to the creation of innovative digital exhibitions and virtual tours. These initiatives provide immersive experiences where users can explore classical art collections from the comfort of their own homes, breaking down barriers of physical distance and making art more accessible to a wider audience. Moreover, social media has enabled the rise of niche communities and interest groups centered around classical art. Users with a passion for classical aesthetics can connect with like-minded individuals, exchange knowledge and insights, and collectively appreciate and promote classical artworks. This sense of community fosters a deeper engagement with classical art and encourages further exploration and discovery. Additionally, social media has encouraged dialogue and reinterpretation of classical art. Artists and creative individuals are inspired by classical masterpieces and reinterpret them through their own contemporary lens. This fusion of classical and modern artistic elements generates fresh perspectives and helps bridge the gap between traditional and contemporary art forms. Some of the theorists are not happy that everything, included classic art, goes to new media, but it is non stopping process. "The fact that the new media is fast, communicating events immediately, presenting them to the world beyond, even unto the groves of academia. Like migration, art is as old as the history of civilization"<sup>4</sup>.

Social media destroys borders almost all over the world and the republic of Georgia (post-Soviet country) is not an exemption. But, before worldwide network appeared, country was isolated by so called iron curtain. Georgia, with its rich artistic heritage, has a long-standing tradition of classical art influenced by various movements throughout its history. However, the post-Soviet era, which began in the early 1990s after the dissolution of the Soviet Union, brought significant challenges for classical art in the country. During the Soviet period (1922-1991), the arts in Georgia, including classical art forms, were subject to strict ideological control and censorship. The Soviet regime favored socialist realism, a style that

aligned with the political agenda of the time. Artists who deviated from this prescribed style often faced repression and marginalization. As a result, classical art forms and traditional artistic practices were overshadowed by the dominant socialist realist aesthetic. The collapse of the Soviet Union and the subsequent transition to a market economy presented both opportunities and challenges for classical art in Georgia. On one hand, the newfound freedom allowed artists to explore a wider range of artistic styles and expressions. Classical art, with its emphasis on technical skill, beauty, and the exploration of timeless themes, began to regain its significance as artists sought to reconnect with their cultural heritage and express their individual voices. However, the transition period also brought economic hardships and limited resources, which impacted the art sector as a whole. Funding for artistic endeavors, including the preservation and promotion of classical art, became scarce. This lack of financial support posed challenges for artists, institutions, and the wider art community, hindering the growth and visibility of classical art.

The rise of social media in the 21<sup>st</sup> century has provided a transformative platform for artists in Georgia. They now have the ability to present their work to a global audience, reaching art enthusiasts and collectors even beyond the confines of the local art scene. Social media has acted as a catalyst for the resurgence of classical and contemporary art by allowing artists to share their creations, engage with viewers, and collaborate with fellow artists on a global scale. Artists in Georgia, who may have struggled for recognition in the past, or who were dreaming to show their works abroad, now have the means to build their own online presence and connect directly with audiences interested in their artistic heritage and cultural traditions. In recent years, there has been a growing appreciation and recognition of classical art in Georgia, both within the country and internationally. Efforts by museums, galleries, and cultural organizations to preserve and promote classical art have played a crucial role in this resurgence. Exhibitions, educational programs, and collaborative initiatives have helped raise awareness of the artistic heritage and the importance of classical art in Georgia's cultural identity. Modern media platforms have become invaluable tools for artists to connect with their audience, showcase, promote or sell

4 González J.M, Mahmuto V, Media and Arts, Transnational Press London, 2020, p. 16.

their work, and at the same time engage public in creative dialogue. In today's digital age, artists have a multitude of platforms at their disposal to promote their work, connect with audiences, and build their artistic brand. Among the most popular digital media platforms for artists are Instagram, Facebook, Pinterest, YouTube and other social media channels. All these channels give an opportunity for artists, that they can effectively promote their works on these platforms and maximize their impact.

Instagram has become a go-to platform for visual artists due to its emphasis on imagery and visual storytelling. To effectively promote their work on Instagram, artists can consider the following strategies: High-Quality Visuals (posting high-resolution images of their artwork. High-quality photographs or digital reproductions can help showcase the details and nuances of the artwork); Consistent Branding (developing a cohesive visual aesthetic, style or theme throughout their Instagram feed helps establish a recognizable brand identity. Consistency in color schemes, filters, or visual elements); Engaging Captions; Effective Hashtag Usage; Engaging with the Community.

Facebook: Broad Reach and Community Building Facebook offers artists a broader reach and the ability to connect with a diverse audience: Art pages or groups; Facebook Live to host virtual art demonstrations, studio tours, or Q&A sessions; Facebook's storytelling; reach a specific audience interested in art and ext.

YouTube: Artists can create video content, including art tutorials, time-lapse demonstrations, or artist vlogs, to showcase their artistic process and provide educational value to viewers.

Pinterest: Artists can utilize Pinterest to create curated boards of their artwork, inspirations, and artistic references. This platform is particularly useful for visually-oriented artists and can drive traffic to their websites or online portfolios.

Through those media platforms artists, all over the world, have been able to reach a global audience, sharing their artistic endeavors and contributing to the cultural landscapes of their countries. So do most Georgian artists, who also own accounts on almost all media platforms, but Instagram and Facebook are leading. As it was mentioned, besides successful marketing, social media has also facilitated collaborations and artistic exchanges among Georgian artists and their international counter-

parts. Through virtual collaborations, joint projects, and cross-cultural initiatives, artists can explore new artistic directions, exchange ideas, and broaden their perspectives.

In the digital media platforms, we also can find gallerists and galleries. They have recognized the importance of media platforms as powerful tools for art promotion, audience engagement, and expanding their reach beyond physical gallery spaces. By leveraging media platforms, gallerists and galleries can showcase artworks, connect with collectors and art enthusiasts, and build a vibrant online presence. Social media accounts they create serve as virtual galleries, providing a visually immersive experience for followers. Through carefully crafted posts, galleries can highlight featured artworks, exhibitions, and artist profiles, capturing the attention of their audience. They utilize high-quality images, engaging captions, and relevant hash tags to enhance discoverability and attract art enthusiasts who are actively exploring art on social media. Media platforms also facilitate collaborations and partnerships between gallerists, galleries, and artists. Gallerists can connect with emerging or established artists and explore opportunities for representation or joint projects. This digital networking expands the gallery's roster of artists and fosters artistic collaborations that transcend geographical borders. There are Gallerists and Galleries who also work online, but especially after the pandemic (2019), just online art galleries became more relevant. For art enthusiasts and collectors, online art galleries offer a vast selection of artworks from a diverse range of artists. These platforms often categorize artworks by genre, style, medium, or theme, making it easier for viewers to explore and discover art that aligns with their interests. The convenience of browsing through virtual galleries at any time, from anywhere, provides art enthusiasts with a heightened level of accessibility and choice. The question is how those galleries work? Are they just mediators between artists and byers, or they buy themselves, promote and resell? And which media platform do they prefer?

To find out how social media is actually used and how it works for artists and gallerists, as part of the publication, we recorded an in-depth interview with Belgian online art gallerist Kris Ghesquière, who created one of the first online galleries in Europe, Composition Gallery (<https://www.composition.gallery/>).

As a result of the interview, several important advantages of online galleries were highlighted:

- **Global Reach:** Thanks to our effective SEO optimization, our online gallery attracts approximately 3,000 to 5,000 daily visitors worldwide. This level of accessibility is unparalleled by traditional brick-and-mortar galleries.
- **Consignment Sales Model:** Our business primarily operates on consignment, selling artworks for other galleries, publishers, and artists. We earn on commission on sales. This approach eliminates the need for inventory, reducing both risks and overhead.
- **No Inventory Investments:** The lack of a need for inventory means there is no requirement for investment in storage or insurance. This leads to significant cost savings and financial efficiency.
- **Flexible Staffing:** Operating online allows for reduced staffing needs, with the added benefit of flexible working hours. This is in contrast to physical galleries that require constant staff presence during business hours.
- **24/7 Accessibility:** Clients can view our gallery and the artworks at any time of the day or night. This 24/7 availability offers a level of convenience that far exceeds that of a traditional gallery.
- **Expansive Artwork Selection:** With over 4,000 artworks available online, our gallery provides an unparalleled selection that a physical gallery could not feasibly showcase. This vast collection caters to diverse tastes and preferences.
- **Analytics and Data Collection:** Our online platform enables us to gather valuable insights into visitor behavior, preferences, and interactions. This information is instrumental in tailoring future exhibitions and developing targeted marketing strategies.
- **Tax-Efficient Location:** The virtual nature of our online gallery allows us to base the company in a jurisdiction with a favorable tax regime. For instance, while Belgium might impose almost 50% taxes on profit, Georgia only requires 20%. This not only benefits me as the owner by maximizing profit but also supports the economic development of Georgia, a country that may have a greater need for tax revenues compared to more affluent nations like Belgium. By analyzing the excerpts of the in-depth interview we recorded or the various opinions and information mentioned above, we logically come to the conclusion that physical galleries, as well as specific artists who are focused on selling their works, are moving from the physical to the virtual space – from the canvas to the monitor, where they have a wide and varied audience. We have to assess the reality and realize, that today’s consumer looks for the work on the monitor, and the canvas is perceived as a museum exhibit. It is the same in Georgia, the proof of this is the proliferation of many online galleries. Importantly, professional media does not matter for social networks, networks have their own way of developing. It seems that in the next several year social networks will still be on demand. As for professional media, being without social networks might be a suicide for the profession. Consequently, for professional journalists, this challenge should become an opportunity when they are freed from the conditions set by the media carrier and create a product that focuses on the basic formula of journalism: think like a reader.

## REFERENCES:

- Benischauer B, Eitelberger E.M. *New Media and the Politics of Online Communities* Edited by Mousoutzanis Aris, Riha Daniel, Inter-Disciplinary Press, Oxford, 2010, p. 115-127.
- González J.M, Mahmuto V, *Communication of Migration in Media and Arts*, Transnational Press, London, 2020.
- Hinton Sam, Hjorth Larissa, *Understanding Social Media*, SAGE Publications, 2013.
- Morales L. G, *New Media Art Conservation (Evolutive Conservation Theory)*, BoD eBook, 2022.
- Ryan, B, *Altermodern: A Conversation with Nicolas Bourriaud*, in *Art in America*, 17/03/2009.